

სუპერმარკეტებში დასაქმებულთა მდგომარეობის გამოკვლევა

გამოკვლევის ძირითადი შედეგები

თბილისი, 2018



ძირითადი მიგნებები

- გამოკითხული რესპონდენტების 24.0%-ს მუდმივად უწევს თავის ძირითად საქმესთან ერთად დამატებით სამუშაოს შესრულება
- გამოკითხული რესპონდენტების 39.5%-ს იშვიათად, თუმცა მაინც უწევს თავის ძირითად საქმესთან ერთად დამატებით სამუშაოს შესრულება
- გამოკითხული რესპონდენტთა 33.5%-ს უკავდება ხელფასი
- საშუალო ხელფასის მოცულობა დაახლოებით 362 ლარს შეადგენს
- საშუალოდ დაკავებული ხელფასის რაოდენობა 122 ლარს შეადგენს
- რესპონდენტების 41.1%-ს ხელფასი უკავდებათ სხვადასხვა მიზეზების გამო (აქ არ იგულისხმება დანაკლისის შემთხვევა)
- რესპონდენტების ყოველკვირეული საშუალო დატვირთვა 45 საათს შეადგენს
- რესპონდენტების 75,8% არანაირ დამატებით ანაზღაურებას არ იღებს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისას
- რესპონდენტთა 80,2% არანაირ დამატებით ანაზღაურებას არ იღებს სადღესასწაულო დღეებში მუშაობისთვის
- რესპონდენტთა 68,8% იშვიათად ახერხებს შესვენებაზე გასვლას, ხოლო 3,8% საერთოდ ვერ ახერხებს შესვენებაზე გასვლას


გამოკვლევის მეთოდოლოგია, სანდოობა და შერჩევა

გამოკვლევამ მთლიანად მოიცვა საქართველოში არსებული მსხვილი სუპერმარკეტები და იქ დასაქმებული პირები. მონაცემების შეგროვება განხორციელდა პირისპირ ინტერვიუს გზით, ამისთვის სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით. გამოკვლევის საწყის ეტაპზე მოხდა სამიზნე სუპერმარკეტების განსაზღვრა. სავარაუდო რესპონდენტების რაოდენობა სუპერმარკეტებში გადანაწილდა პროპორციულად, დასაქმებულთა რაოდენობის გათვალისწინებით. რესპონდენტების შერჩევასას გამოყენებული იქნა შემთხვევითობის პრინციპი. რაც შეეხება მონაცემთა სანდოობას, ის განისაზღვრა 95%-ით.

რესპონდენტთა განაწილება მათი სქესისა და ასაკის მიხედვით


გამოკითხული რესპონდენტებიდან კაცების პროცენტული ხვედრითი წილია დაახლოებით 33%, ხოლო ქალებისა შესაბამისად 67%.

რესპონდენტთა სქესი



გამოკითხული რესპონდენტების უდიდესი ნაწილი 17-20 წლის ასაკის ინტერვალშია მოქცეული. მათი წილი მთლიან განაწილებაში დაახლოებით 51%-ს შეადგენს. რესპონდენტთა 42% კი 21-30 წლის ასაკის ინტერვალშია. რაც შეეხება 30 წელზე უფრო მეტი ხნის რესპონდენტებს, მათი წილი სულ რაღაც 7%-ით არის განსაზღვრული:

რესპონდენტთა ასაკი




შრომითი ხელშეკრულების ფორმები

რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი (97,4%) დასაქმებულია წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. დანარჩენს აქვს ან გამოსაცდელი წერილობითი (1.8%), ან კიდევ - გამოსაცდელი ზეპირი (0,2%) ხელშეკრულება. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ გამოკითხულთა ძალიან მცირე ნაწილს (0,6%) საერთოდ არ აქვს არანაირი ცოდნა, თუ რა ტიპის ხელშეკრულება გააჩნიათ და არც თვალთ არ უნახავთ ის. რესპონდენტების 24,0%-ს სისტემატურად უწევს ისეთი სამუშაოების შესრულება, რომლებსაც საერთოდ არ შედის მათ ფუნქციებში და არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებაში. რესპონდენტთა 39,5%-ის განცხადებით, მათ იშვიათად, მაგრამ მაინც უწევთ იმ დამატებითი ფუნქციების შესრულება, რომლებიც საერთოდ არ ევალებათ.

ხელფასის დაკავების შემთხვევები და ძირითადი მიზეზები

გამოკითხვის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა 33.5%-ს სისტემატურად უკავდებათ ხელფასები. ხელფასის დაკავების მიზეზები სხვადასხვაა. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს არა მხოლოდ სასაქონლო დანაკლისი, არამედ თუნდაც ის, რომ რესპონდენტს მუშაობის პროცესში არ ეკეთა ე.წ. "ბეიჯი", ან არ ეცვა უნიფორმა. ქვემოთ მოცემულ გრაფიკში დეტალურად მოცემულია ინფორმაცია ხელფასის დაკავების ძირითადი მიზეზებისა და ამავე მიზეზების პროცენტული განაწილების შესახებ:

ხელფასის დაკავების ძირითადი მიზეზები




ბოლო სამი თვის განმავლობაში ხელფასის დაკავების შემთხვევათა პროცენტული წილი დაახლოებით 42,1%-ს შეადგენს.

ზეგანაკვეთური შრომა და შესვენებაზე გასვლა

გამოკვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა 75,8% არანაირ დამატებით ანაზღაურებას არ ღებულობს ზეგანაკვეთური შრომისთვის. ანალოგიური ტენდენციაა სადღესასწაულო დღეებში მუშაობის დროსაც. რესპონდენტთა 80%-ზე მეტი აცხადებს, რომ ამ შემთხვევაშიც ადგილი არ აქვს რაიმე სახის დამატებითი ანაზღაურების მიღებას. რაც შეეხება შესვენებაზე გასვლის შემთხვევებს, ამ მხრივ შემდეგი ტენდენცია ფიქსირდება:

ძირითადი მიზეზები, რის გამოც ვერ ხერხდება შესვენებაზე გასვლა




ანაზღაურებადი შვებულებით ან ბიულეტენით სარგებლობა

შეკითხვაზე, სარგებლობენ თუ არა რესპონდენტები ანაზღაურებადი შვებულებით ან ბიულეტენით, შემდეგნაირი ტენდენცია ფიქსირდება:

ანაზღაურებადი შვებულებით ან ბიულეტენით სარგებლობა

არა, რადგან როგორც
ბიულეტენის, ისე
შვებულების აღება
გარკვეულ
პრობლემებთან არის
დაკავშირებული
5%



დანართი - გამოკვლევის კითხვარი

სუპერმარკეტებში დასაქმებულთა მდგომარეობის გამოკვლევა

ზოგადი ნაწილი		
სუპერმარკეტის დასახელება		
დაკავებული პოზიცია		
რესპონდენტის სქესი	1. ქალი	2. კაცი
რესპონდენტის ასაკი		

Q1 თქვენი შრომითი ხელშეკრულების ფორმა არის:

1. წერილობითი
2. ზეპირი
3. გამოსაცდელი წერილობით
4. გამოსაცდელი ზეპირი
5. კოლექტიური ხელშეკრულება
6. არ ვიცი/მინახავს ხელშეკრულება

Q2 გთხოვთ, მიუთითოთ, რამდენი საათი მუშაობთ დღის განმავლობაში	
Q3 გთხოვთ, მიუთითოთ, რამდენი დღე მუშაობთ კვირის განმავლობაში	
Q4 გთხოვთ, მიუთითოთ, რამდენს შეადგენს თქვენი ოფიციალური თვიური ანაზღაურება (იგულისხმება ხელზე ასაღები თანხა)	

Q5 გიწევთ თუ არა თქვენს უშუალო საქმესთან ერთად დამატებით ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც არ შედის თქვენს ფუნქციებში?

1. დიახ - მუდმივად
2. დიახ - იშვიათად
3. არ მიწევს

Q6 გიკავდებათ თუ არა ხელფასიდან თანხები?

1. არა (განაგრძეთ კითხვა Q8-დან)
2. დიახ (გადადით კითხვაზე Q7.1 დან Q7.3)

Q7.1 რა არის ძირითადი მიზეზი, რომ სრულიად არ გერიცხებათ ხელფასი? (შენიშვნა: დაუსვით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ Q6 შეკითხვაზე დაფიქსირდა პასუხი „არა“. დასაშვებია ერთდროულად სამი პასუხის მონიშვნა).

1. დანაკლისის გამო დამეკისრა ჯარიმა;
2. დანამდვილებით არ ვიცი, თუ რატომ დამაკლეს ხელფასი;
3. არ მეხურა კეპი
4. არ მეკეთა „ბეიჯი“
5. არ მეცვა უნიფორმა
6. გასული ვიყავი შესვენებაზე
7. სამსახურში გამოვცხადდი დაგვიანებით

8. არ შევასრულე სამუშაო, რომელიც არ შედიოდა ჩემს ფუნქციებში

9. სხვა(მიუთითეთ)_____

Q7.2 გთხოვთ, მიუთითოთ, რამდენი ლარი დაგიკავდათ ხელფასიდან უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ჯამურად

/ _____ /

Q7.3. ხელფასის დაკლების შემთხვევები ხდება:

1. მუდმივად
2. იშვიათად

Q8 ღებულობთ თუ არა დამატებით ანაზღაურებას ზეგანაკვეთური შრომის დროს?

1. დიახ
2. არა

Q9 ღებულობთ თუ არა დამატებით ანაზღაურებას სადღესასწაულო დღეებში მუშაობის დროს?

1. დიახ
2. არა

Q10 სარგებლობთ თუ არა მუშაობის დროს შესვენებით?

1. დიახ - ხშირად
2. დიახ - იშვიათად (განაგრძეთ კითხვა Q11-დან)
3. არა (განაგრძეთ კითხვა Q11-დან)

Q11 რა არის ძირითადი მიზეზი, რომლის გამოც არ ან იშვიათად სარგებლობთ შესვენებით (შენიშვნა: დაუსვით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ Q10 შეკითხვაზე დაფიქსირდა პასუხი „დიახ - იშვიათად“, ან „არა“).

1. ბევრი საქმეების გამო ვერ გავდივარ შესვენებაზე
2. შესვენებაზე გასვლა არაფორმალურად აკრძალული გვაქვს
3. შესვენებაზე გასვლის გამო გვაკლდება ხელფასი
4. სხვა (მიუთითეთ)_____

Q12 სარგებლობენ თუ არა თქვენი თანამშრომლები ანაზღაურებადი შვებულებით ან ბიულეტენით?

1. დიახ - შვებულებით
2. დიახ - ბიულეტენით
3. არა, რადგან როგორც ბიულეტენის, ისე შვებულების აღება გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული
4. არა